SETANTA SPORTS წარმოგიდგენთ

თარიღი: 13-23 ნოემბერი, 2025

ფეხბურთი ბუენოს აირესსა და რიო დე ჟანეიროში: ნამდვილი სამხრეთამერიკული თავგადასავალი

ათდღიანი მოგზაურობა მსოფლიოს ორ უდიდეს საფეხბურთო დედაქალაქში: ბუენოს აირესსა და რიო დე ჟანეიროში. ეს თავგადასავალი შეიქმნა ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის; მათთვის, ვისთვისაც ფეხბურთი მსაჯის სასტვენით არ მთავრდება და უნდათ, რომ შეიგრძნონ ამ დიდებული თამაშის სული იქ, სადაც ფეხბურთის ბურთი ყველაზე მეტად უყვართ.

თავგადასავლის მონაწილეები დაესწრებიან ოთხ განსაკუთრებულ მატჩს, მოინახულებენ ლეგენდარულ სტადიონებს და „ასადოში“, ტრადიციულ არგენტინულ ბარბიქიუში, მიიღებენ მონაწილეობას. ამასთან ერთად, ადგილობრივი მეგზურების თანხლებით, ორივე ქალაქის კულტურას ახლოდან გაიცნობენ.

ეს არის შანსი, საფეხბურთო სამყაროს შუაგულში ამოყოთ თავი და პირადად გახდეთ მონაწილე იმ ისტორიების, რომლებსაც აქამდე ეკრანიდან თუ მიადევნებდით თვალს. სწორედ ამას სთავაზობს გულშემატკივრებს SETANTA SPORT- ი.

თქვენი მეგზურები: ადგილობრივი ფანები და ქართველი კომენტატორები

ამ თავგადასავალს გაუძღვებიან ქართველი მიმომხილველები და ადგილობრივი ფეხბურთის ქომაგები. ისინი უკეთ გაგაცნობენ ადგილობრივ კულტურას და მოგიყვებიან ამ რეგიონში ფეხბურთის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ.

- **ბიძინა ბარათაშვილი** – საქართველოში ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მიმომხილველი, რომელმაც ბევრ ქართველს შეაყვარა ფეხბურთი. მისი მთავარი გატაცება არგენტინის ნაკრებია, რომელსაც ათწლეულებია ერთგულად ქომაგობს. სამხრეთამერიკულ ფეხბურთზე, იქაურ გუნდებზე, მოთამაშეებზე და ისტორიებზე საათობით შეუძლია საუბარი.

- **ალექსანდრე გაბრიჩიძე** – Setanta Sports-ის გამორჩეული ხმა და ქართველი კომენტატორების ახალი თაობის სახე. მან, ფეხბურთის გულშემატკივრებს, თავი სპორტის სიღრმისეული ცოდნითა და ანალიტიკური მიმოხილვებით დაამახსოვრა. ალექსანდრე ბავშვობიდან ბრაზილიის ნაკრებს ქომაგობს და ყოველთვის ცდილობს, თამაში და მოთამაშეები განსხვავებული კუთხით დაანახოს მაყურებელს.

ITINERARY OVERVIEW:

- **დღე 1:** ჩაფრენა ბუენოს აირესში
- **დღე 2:** ტური დიეგო არმანდო მარადონას სტადიონზე, არგენტინოს ხუნიორსის სტადიონი
- **დღე 3:** მატჩი – ველესი vs. რივერ პლეიტი
- **დღე 4:** მატჩი – ბოკა ხუნიორსი vs. ტიგრე
- **დღე 5:** „ასადოს“ კულტურული საღამო + სურვილისამებრ, ქვედა ლიგის სტადიონის ან ფეხბურთის მუზეუმის მონახულება
- **დღე 6:** გამგზავრება რიო დე ჟანეიროში
- **დღე 7:** მატჩი – ფლუმინენსე vs ფლამენგო
- **დღე 8:** მატჩი – ბოტაფოგო vs სპორტ რესიფე
- **დღე 9:** „მარაკანას“ და „სან-ჟანუარიოს“ სტადიონების ტურები
- **დღე 10:** თავისუფალი დღე (სანაპიროსა ან ქალაქის ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად)
- **დღე 11:** დამშვიდობება და გამოფრენა

თქვენი ადგილობრივი თავგადასავალი მოიცავს:

- 5 ღამე ბუენოს აირესში (სასტუმრო Vilon Hotel Recoleta)
- 5 ღამე რიო დე ჟანეიროში (სასტუმრო Windsor Copa)
- 4 მატჩზე დასწრება (2 ბუენოს აირესში + 2 რიო დე ჟანეიროში)
- ველოტურის გიდი ბუენოს-აირესში
- „ასადოს“ კულტურული გამოცდილება
- სტადიონების ტურები: „მარაკანა“ + „სან-ჟანუარიო“
- ყველა შიდა ტრანსფერი
- ადგილობრივი მასპინძლის მუდმივი ჩართულობა
- სურვილისამებრ, ქვედა ლიგის სტადიონის ან ფეხბურთის მუზეუმის მონახულება

ფასი: 3595 € (11 360₾)

TBC CONCEPT მომხმარებლებისთვის

ფასი: 3265 € (10 325₾)

*ფასი მოცემულია ერთ ადამიანზე, ორადგილიან ნომერში

*ფასი შეიცავს დღგ-ს (18%).

*ფასი არ შეიცავს საერთაშორისო ავიაბილეთის ღირებულებას

SETANTASPORTS

შეთავაზების გაუმჯობესება

- საფასური მოიცავს სასტუმროს, ერთ ადამიანზე ორადგილიან ნომერში
- სასტუმროს გაუმჯობესება შეიძლება: თუ მომხმარებელს იგივე სასტუმრო სურს, უბრალოდ ნომერში უნდა მარტო იცხოვროს საჭიროა **630 € (1995 ლარი)** დამატება.
- თუ მომხმარებელს სურს სხვა სასტუმროში დარჩეს, აქაც დავეხმარებით:
  – ბუენოს აირესში შეგვიძლია Palladium Hotel შემოგთავაზოთ (ერთ ადამიანზე, **780 € (2495 ლარი)** დამატებით)
  – რიო-დე-ჟანეიროში Rio Othon Palace-ზე გავაკეთებთ არჩევანს (ერთ ადამიანზე, **505 € (1595 ლარი)** დამატებით)
- საუზმის დამატების შემთხვევაში ნომრის ღირებულებას ემატევა **185 € (580 ლარი)**
- ექტსრა დღე - **200 € (635 ლარი).**

გაითვალისწინეთ:

*პაკეტი არ მოიცავს ფრენასა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თუმცა შეგვიძლია, პარტნიორების ჩართულობით, ავიაბილეთების შეძენაში დაგეხმაროთ.

**ტურის გარკვეული დეტალები, შეიძლება, ადგილობრივი ჩემპიონატების კალენდარისა და განრიგის ცვლილების გამო შეიცვალოს. ამ ინფორმაციას, გამგზავრებამდე აუცილებლად გაგიზიარებთ.